

ტსუ რექტორის არჩევის მოლოდინები

1. ვლადიმერ პაპავა



არ ვაპირებ გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღებას! **33.3**

2. გიორგი ქავთარაძე



ტსუ-ში „ცისფერი მთების“ პრობლემა უნდა დასრულდეს **33.4**

3. გიორგი ბარამიძე



ჩემი გეგმის მიხედვით, სამართლიანობა უნდა აღდგას! **33.4**

4. ილია თავხელიძე



ლაბირინთიდან დასსნის გზა ორგანიზაცია **33.5**

5. ცირა ბარამიძე



არჩევის შემთხვევაში თვისობრივად ახალ უნივერსიტეტს ჩამოვაყალიბებ **33.7**

6. მერაბ ცაგარელი



პრობლემების მოგვარება ყველასთვის პრიორიტეტი უნდა იყოს **33.8**

7. ირმა რატიანი



ნამყვანი პოზიციები დასაქმების გაზარდა ტსუ-ს უნდა ეკუთვნოდეს **33.12**

8. მელა რუსუა



ვირჩევ ეროვნული სამეცნიერო ტრადიციების დამკვიდრებას **33.11**

9. მარინა მუსხელიშვილი



არჩევნები — დასაწყისი ცვლილებების პროცესისა ტსუ-ში **33.10**

10. მანანა ხაჩიძე



მენეჯმენტის გაუმჯობესება აუცილებელია **33.14**

11. მარინა ჩიტაშვილი



მინდა, ტსუ იყოს თანამედროვე კვლევითი უნივერსიტეტი **33.15**

12. ინესა მერაბიშვილი



ღირებულ პროფესორას უკან დავაბრუნებთ **33.15**

რეპტორობის კანდიდატები

ჩემი რეპტორობის შემთხვევაში არ ვაპირებ გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღებას!

ბლიზ-ინტერვიუ აკადემიკოს ლალო კაკაპასთან

— უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ოფიციალურად 12 კანდიდატურაა, ამ ეტაპზე, დარეგისტრირებული. კანდიდატთაგან ბევრია მეცნიერული ღვაწლისა და მეწიერული უნარ-ჩვევების მქონე. თქვენი, როგორც კონკურსში მონაწილე ერთერთი კანდიდატის, აზრით, ასეთი მოცემულობის ფონზე საკმარისია თუ არა ის კრიტერიუმები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს აკადემიურმა საბჭომ არჩევანის გასაკეთებლად?

— ვფიქრობ, აკადემიურ საბჭოს ხელთ აქვს საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ მის წევრებს მეტ-ნაკლებად ობიექტური შთაბეჭდილება შეექმნათ თითოეული კანდიდატის შესახებ. მათ, აგრეთვე, ექნებათ შესაძლებლობა — მოუსმინონ კანდიდატებს.

— საზოგადოებაში მოარული ხმები თსუ-ში მოქმედი აკადემიური საბჭოს ნდობის შესახებ, გარკვეულწილად, იმიტომ იყო განპირობებული, რომ, საზოგადოების ნაწილის აზრით, საბჭოს წევრები არჩევანის გაკეთებისას იხელმძღვანელებენ საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და თავად აკადემიური საბჭოს წევრთა გადარჩენის პრინციპიდან გამომდინარე და არა მხოლოდ პროფესიონალიზმის მხარდაჭერის მოტივაციით. კონკურსში ამდენი მაღალი რანგის სპეციალისტის მონაწილეობა საბჭოს ლეგიტიმაციას, საზოგადოების თვალში, ხელს უწყობს. ახლა მხოლოდ საბჭოს წევრებზე დამოკიდებული — როგორ არჩევანს გააკეთებენ. თქვენი არჩევანის შემთხვევაში, რამდენად მოსალოდნელია საკადრო რეფორმა, რასაც ყველაზე მეტად უფროსის აკადემიური საბჭოს ზოგიერთი წევრი?

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აკადემიური საბჭოს წევრები, თუ მათზე არ განხორციელდა პოლიტიკოსების ან (და) სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ზეწოლა, მიიღებენ იმგვარ გადაწყვეტილებას, რომელსაც ჩათვლიან საუკეთესოდ დედა-უნივერსიტეტის მომავლისათვის. რაც შეეხება საკადრო საკითხებს, ჩემი აზრით, ისინი უნდა გადაწყვიტონ მხოლოდ და მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. კერძოდ, აკადემიურ თანამდებობებზე მყოფნი ვერც კი წარმომადგენელია როგორ, ან რატომ უნდა გათავისუფლდნენ თანამდებობიდან მხოლოდ იმიტომ, რომ უნივერსიტეტს ახალი რექტორი ეყოლება. ამ თანამდებობათა დაკავება მხოლოდ და მხოლოდ კანონით დადგენილ ვადებში ჩატარებული კონკურსის გზითაა შესაძლებელი და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის უშუალო ვალია საკონკურსო კომისიები დააკომპლექტოს მაღალი დონის სპეციალისტებით, რომელთა უმნიშვნელო რეპუტაცია არავისში ეჭვს არ ზადებს, ხოლო თავად კონკურსები ჩაატაროს მაქსიმალური გამჭვირვალების პირობებში.

— თქვენი პრინციპული ხასიათიდან გამომდინარე, საუნივერსიტეტო საზოგადოების ნაწილის მხრიდან არის მოლოდინი იმისა, რომ საუნივერსიტეტო რეფორმა, რომლის გატარებაც, ალბათ, აუცილებელია, პიროვნულად ბევრს შეეხება. შესაძლოა ძალიან არაეთიკური იყოს ვაჭრობა ამ თემით — რომ თუ არ შეეხება, ამ შემთხვევაში ავირჩევ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკითხი ბევრს აწუხებს. აქედან გამომდინარე, ვთხოვთ, ჩვენი გაზუთის მკითხველს კიდევ ერთხელ განუმარტოთ — რის მოიცავს თქვენთვის ხელდასაუნივერსიტეტო რეფორმის თაობაზე?

— ჩემთვის „ვაჭრობა“, როგორც ასეთი, პრინციპულად მიუღებელია. ყველამ პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთს და საკუთარ თავსაც! ჩემი რექტორობის შემთხვევაში არ ვაპირებ გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღებას. ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების და ფაკულტეტების როლის გაზრდა. არც ერთი საკითხი, რომელიც ამა თუ იმ ფაკულტეტს შეეხება, არ გადაწყდება ამ ფაკულტეტის საბჭოს, მისი პროფესორებისა და სტუდენტების აზრის გათვალის-

წინების გარეშე. მაგალითად, თუ დადგება მრავალდარგობრივი ფაკულტეტის დაშლის საკითხი, ის გადაწყდება მხოლოდ და მხოლოდ ამ ფაკულტეტის რეკომენდაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის ხელთ არსებული ფინანსების გათვალისწინებით. ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ჩემი ღრმა რწმენით, რეგულაციური გარდაქმნები განათლებასა და მეცნიერებაში, მხოლოდ და მხოლოდ, ზიანის მომტანია. სწორედ ეს იყო ჯერ კიდევ 2004 წელს ჩემსა და კახა ლომაიას შორის დაპირისპირების მთავარი თემა, და მეც იგივეს ხომ არ გავაკეთებ, რის გამოც ბატონ კახას დაუპირისპირდი? აქედან გამომდინარე, რეფორმები უნივერსიტეტში, ჩემი რექტორობის პირობებში, მხოლოდ და მხოლოდ ევოლუციური ხასიათის იქნება.

ბიოგრაფიული შტრიხები

ვლადიმერ პაპავა დაიბადა 1955 წლის 25 მარტს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1972 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-15 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1977 წელს. 1977 წლიდან მუშაობდა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 1978-1982 წლებში გახლდათ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის სტაჟიორ-მკვლევარი და შემდეგ დასწრებული სწავლების ასპირანტი. 1982 წელს დაუბრუნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა უმცროსი, უფროსი, ნამყვანი და მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 1991 წელს ინსტიტუტის კოლექტივმა აირჩია დირექტორის თანამდებობაზე. 1994 წლის 24 ივნისიდან საქართველოს სახელმწიფო მეთაურის გადაწყვეტილებით იგი საქართველოს ეკონომიკის მინისტრად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მან 2000 წლის მაისამდე იმუშავა. 1996-2000 წლებში იგი გახლდათ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი; 2000-2001 წლებში — საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე; 2000-2005 წლებში — ევროპის მეწიერების სკოლის პროფესორი; 2000 წლიდან დღემდე — საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია. 2003-2005 წლებში იყო საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი. იმავე წლებში — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის კათედრის გამგე. 2004 წელს აირჩიეს საქართველოს პარლამენტში. 2004-2007 წლებში იყო საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2007-2008 წლებში — იმავე კომიტეტის წევრი. 2005-2006 წლებში გახლდათ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. იმავე წლებში ფულბრაიტის პროგრამით მიიწვიეს ვაშინგტონში (აშშ) ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის გადრეკებული საერთაშორისო კვლევების ნიცშეს სკოლის ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტში მკვლევრად. 2008 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

ვლადიმერ პაპავამ 1982 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რეგიონის სამშენებლო კომპლექსის მოდელირება სახალხო მეურნეობის განვითარების ერთიან ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელთან სისტემაში“, 1989 წელს კი — სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საზოგადოებრივი



წარმოების პროდუქტიულობა და მისი დარგ-თაშორისი ანალიზი“.

1990 წელს სსრკ უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მას მიენიჭა უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო ნოდება, ხოლო 1995 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით — პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური ნოდება მაკროეკონომიკის სპეციალობით.

1997 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2013 წელს ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად.

გახლავთ 343 სამეცნიერო ნაშრომის (საერთო მოცულობით 653,3 ნ.თ.) — მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და სტატიების ავტორი. აქედან 34 სტატია გამოქვეყნებულია საერთაშორისო იმპაქტფაქტორიან, ხოლო 24 — რუსეთის იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში. საზღვარგარეთ (აშშ, შვედეთი, რუსეთი, საბერძნეთი, აზერბაიჯანი) გამოქვეყნებული აქვს 14 მონოგრაფია. მისი ციტირების ინდექსი „Publish or Perish 4“-ის სისტემით შეადგენს 490-ს. გახლავთ ორი საერთაშორისო და ერთი რუსეთის იმპაქტფაქტორიანი სამეცნიერო ჟურნალის რედაქციის წევრი, ასევე, შემდეგი აკადემიების, საზოგადოებებისა და ასოციაციების წევრი: ეკონომიკური თეორიის მიღწევების საზოგადოება (აშშ, 1990), დანახარჯები-გამოშვების საერთაშორისო ასოციაცია (ავსტრია, 1992), ინფორმაციული საერთაშორისო აკადემია (გაერო, 1994), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია (საქართველო, 1994-2010), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემია (აშშ, 1995), დასავლეთის საერთაშორისო ეკონომიკური ასოციაცია (აშშ, 1996), მეცნიერების, განათლების, მრეწველობისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემია (აშშ, 1997), სამეფო ეკონომიკური საზოგადოება (დიდი ბრიტანეთი, 1997), საერთაშორისო ატლანტიკური ეკონომიკური საზოგადოება (აშშ, 1998), ლუდვიგ ფონ მიზესის ინსტიტუტი (აშშ, 2006), ამერიკის ეკონომიკური ასოციაცია (აშშ, 2006), ცენტრალური ევროპის შემსწავლელი საზოგადოება (აშშ, 2006), შედარებითი ეკონომიკური კვლევების ევროპული ასოციაცია (იტალია, 2006), ამერიკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაცია (აშშ, 2006), პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებათა ამერიკის აკადემია (აშშ, 2006).

წლების განმავლობაში უწევდა სხვადასხვა მოვალეობის შესრულებას: ჟურნალ

„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“ — ეკონომიკის სერია, მთავარი რედაქტორი (1992-2005); საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ეკონომიკის სექციის თავმჯდომარე (1992-2003); საქართველოს პრეზიდენტის ეკონომიკური საბჭოს წევრი (1993-2003, 2005 წლიდან დღემდე); მსოფლიო ბანკის ალტერნატიული მმართველი (აშშ, 1994-2000); ჟურნალ „გარდამავალი ეკონომიკის პრობლემები“ რედაქციის წევრი (აშშ, 1997 წლიდან დღემდე); ჟურნალ „საზოგადოება და ეკონომიკის“ რედაქციის წევრი (რუსეთი, 1998 წლიდან დღემდე); ჟურნალ „ცენტრალური აზია და კავკასიის“ რედაქციის წევრი (შვედეთი, 2004 წლიდან დღემდე); ჟურნალ „კავკასია და გლობალიზაციის“ რედაქციის წევრი (შვედეთი, 2006 წლიდან დღემდე); დემოკრატიული გარდაქმნების პროექტის ტრანსატლანტიკური მმართველი ჯგუფის წევრი (აშშ, 2006 წლიდან დღემდე); ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის და სტოკჰოლმის უსაფრთხოებისა და განვითარების პოლიტიკის ინსტიტუტის, აბრეშუქის გზის შემსწავლელი პროგრამის ერთობლივი ტრანსატლანტიკური სამეცნიერო ცენტრის ასოცირებული უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (აშშ-შვედეთი, 2006 წლიდან დღემდე); სოციალური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის მრჩეველთა საბჭოს წევრი (პოლონეთი, 2007 წლიდან დღემდე); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისიის თავმჯდომარე (2011 წლიდან დღემდე); საქართველოს ფინანსთა მინისტრის სათათბიროს — მრჩეველთა საბჭოს — წევრი (2013 წლიდან დღემდე).

მიღებული აქვს შემდეგი სამეცნიერო ჯილდოები: 1. საქართველოს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის ლაურეატი ნიგნისათვის „სამრეწველო სანარმოს ორგანიზაცია და დაგეგმვა“ (თანაავტორი გიორგი პაპავა, 1987); 2. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნაშრომთა ციკლისათვის „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელირება (ავტორთა კოლექტივი, 2004); 3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი მონოგრაფიისათვის აშშ-ში გამოსული მონოგრაფიისათვის „ნეკროეკონომიკა: მოსტ-კომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია“ (2008).

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.